

**მაია ფირჩხაძე<sup>1</sup>**

იტალიური სკოლა „ცისკარი“  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

<https://doi.org/10.52340/sou.2022.20.30>

### **თვითრეგულაციის საკითხისათვის სასკოლო და საუნივერსიტეტო პრაქტიკაში ასინქრონული სწავლების დროს<sup>2</sup>**

**აბსტრაქტი.** ნაშრომში შესწავლილია თვითრეგულაციის საკითხი სასკოლო და საუნივერსიტეტო პრაქტიკაში ასინქრონული სწავლების დროს. დაკვირვება ჩატარდა, როგორც უნივერსიტეტში, ასევე სკოლაში. კვლევაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეები და სტუდენტები, სულ 101 რესპონდენტი.

კვლევის შედეგების მეთოდური დამუშავების გზით გამოიკვეთა მოსწავლეებსა და სტუდენტებში საქმიანობის სუბიექტური რეგულირების პიროვნულ-ტიპოლოგიური მახასიათებლები (მათ შორის დისტანციური საქმიანობის ფორმატის მიმართ დამოკიდებულება) და თვითრეგულაციისა და ინერნეტიულობის ხარისხი. ნაშრომში, კვლევის შედეგების საფუძველზე გამოთქმული რეკომენდაციები სასარგებლოა, როგორც უნივერსიტეტებისთვის, ასევე სკოლებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** თვითრეგულაცია, სასკოლო და საუნივერსიტეტო პრაქტიკა, ასინქრონული სწავლება, კვლევა, თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი.

---

<sup>1</sup> **მაია ფირჩხაძე**, ისტორიის დოქტორი, იტალიური სკოლა „ცისკარის“ მენტორი მასწავლებელი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. ჟურნალ „მასწავლებლის“ სამეცნიერო-მეთოდური სტატიების ექსპერტ-ავტორი.

<sup>2</sup> კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ნაშრომს ახლავს გაფართოებული ინგლისური აბსტრაქტი

**Maya Firchkhadze<sup>3</sup>**

*Italian School „Tsiskari“//Sokhumi State University*

### **For the issue of self-regulation in school and university practice during asynchronous learning process**

In order to find success in life, a person needs to work hard, put more effort and develop specific skills. Regarding the above mentioned issue, the most important is the ability to be autonomous, make a decision and take responsibility for that decision, i.e. self-regulation.

The degree of internetness of a person with a self-regulated learning ability (i.e. how independent he/she is in everyday life, how high is his/her activity and initiative, self-confidence, independence, high self-esteem, self-control and responsibility for his/her own behavior) is quite high and if we help the teenager to develop the quality of these abilities, we will get an independent young person with high self-regulation ability.

How can we find similar skills in our pupils/students? How can we determine whether they are ready for the changes or not? How can we promote their personal sustainability (while mastering their own profession)? We became more interested in the mentioned issue due to the fact that in the last period, the number of units that affect the learning/teaching and activity efficiency of the student/students has increased significantly.

We became more interested in the mentioned issue for the fact that we face: the number of units that affect the learning/teaching and activity efficiency of the student/students has increased in recent years. In order to determine the expected results, it is no less important to study personal-typological characteristics of the subjective regulation of pupils'/students' activities, which will give us a guide for planning future activities.

In order to define the degree of self-regulation of pupils/students and determine their learning style, we have conducted a two-stage study including special tests and questionnaires. At the first stage, we tried to define the category of respondents. We divided the interviewees into „autonomous“ and „dependent“ groups. In the second stage - we determined what was their attitude towards the distance learning component. We defined whether they had the necessary specific skills for the process or not.

---

<sup>3</sup> **Maya Firchkhadze**, doctor of history, mentor teacher of Italian school "Tsiskar", guest lecturer of Sokhumi State University. Expert-author of scientific-methodical articles of the "Teacher" magazine.

101 respondents, including pupils and students from different regions, participated in the research process. Particularly, they were pupils of the upper level (XI-XII grades) of the Tbilisi Italian School „Tsiskari“, Telavi N4 Public School, Zestafoni Municipality N1 Public School, Samtredia N10 Public School and students of Sukhumi State University. (they are involved in the distance learning process from both West and East Georgia). The research was conducted at the end of May, when one part of the pupils (XII graders) was still enrolled in school, but they were considered to be potential future students (i.e. he/she would be involved in the learning process again) The other part was going leave the space and start independent work, or stay at school (XI graders) in order to pass exams for admission to the programs of higher educational Institution in the nearest future. We had the same conditions with students (some of them continued their studies while others graduated from the school and started a new stage in life - independent work).

Being in equal conditions, both the pupils and students had different attitudes towards distance learning process due to two components (involvement in the learning process and independent activity). That's why we had to study their situation separately, while the uniform learning style of pupils and students allowed us to study the mentioned issue as a single component. Finally, we presented the results of obtained outcomes in a comprehensive manner.

The I stage of the research included the following activities. We aimed to determine the self-regulation index of pupils/students and conduct learning testing of the personal-typological characteristics (i.e. the learning style) of the subjective regulation activity. Only 71 out of 101 participants filled out the questionnaire. Other participants just abstained. The research revealed a high percentage of respondents whose vector was not clear and we do not know what are they going to choose in the future: "dependency" or – „autonomy and self-regulation“.

Part II of the study was aimed at determining the effectiveness of the distance learning format. Most of the interviewees preferred to have live relationships, although they believed that asynchronous learning process (distance format) was still successful for them.

From the point of view of methodology, the answers to the following questions are quite interesting:

**a) The pupils:**

Question

Correct answers

2. Should distance learning be continued in the future?

7 out of 60 agreed

3. Distance learning should not exist?!

23 out of 60 agreed

6. Is the distance learning process difficult for you?

28 out of 60 agreed

The methodical processing of research results revealed the personal-typological characteristics of the subjective regulation of activity among pupils and students (including the attitude towards the remote activity format) as well as self-regulation and the degree of inertness. Despite the positive attitude towards distance learning, style of students' general activity and degree of self-regulation were not „sustainable“. The estimated need for „control“ (emphasis on self-regulation) was not low - only 34 out of 60 students supported the idea to have a control mechanism (this is the answer to the question - the distance learning format was bad. According to the survey, the participants are not able to control their own achievements. An even lower percentage has obtained the answer to the question - „My work schedule is usually unsystematic“ - 0%. The highest rate was recorded for the demand for „live“ relationships - 40%, which involve more active social interaction according to student results.

#### **b) The students:**

From the point of view of methodology, the answers to the following questions are quite interesting:

a) The pupils:

Question

Correct answers

2. Should distance learning be continued in the future?

7 out of 60 agreed

3. Distance learning should not exist?!

23 out of 60 agreed

6. Is the distance learning process difficult for you?

28 out of 60 agreed

8. Distance learning format is good, because at this time the control system is weak.  
10 out of 41 agreed.

9. Distance learning format is bad because you cannot control your own achievements. 17 out of 41 agreed.

Adapting one's own learning style and activities to the distance format, that is, the possible degree of self-regulation, does not have special „sustainability“.

In both cases, the dynamics of the answers clearly show, that the pupil/student positively evaluates asynchronous learning process. Although at the same time they express a kind of preference for „face to face“ learning process.

It is a fact that in the modern education process, the role of asynchronous means of communication is very important: learning process has become relatively cheap, we use successfully electronic learning resources as well as participate in online discussions, online conferences, seminars, we receive feedback in real time, discuss problematic issues, etc.

Based on the research results, we can conclude that

1) the majority of respondents do not have a clearly defined learning style. They do not know what to choose, and at this time they may not be able to establish their own self-regulated style.

2) in terms of effectiveness of activity and learning style, students supporting asynchronous learning process do not have a high positive coefficient. The so-called „a mixed“ model consisting of asynchronous and synchronous teaching may be the most convenient style of learning for them. Accordingly, attention should be focused on the above mentioned model in further work planning process.

In order to deal with the challenges facing our reality, we must use the most effective right forms of communication and, based on obtained experience we should create a much more effective „teaching space“ in future. All the above-mentioned aspects will actually meet the growing demands of the modern educational process.

**Key words:** self-regulation, school and university practice, asynchronous teaching, research, modern educational process.

*ძირითადი კვლევა.* თანამედროვე სამყარო ძალიან ცვალებადია და ადამიანს წარმატების მიღწევისთვის ბევრი შრომა, გარჯა და სპეციფიური უნარები ჭირდება, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ავტონომიურობის, გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღების უნარი, ანუ თვითრეგულაცია.

თვითრეგულირებადი სწავლის უნარის მქონე ადამიანის ინტერნეტულობის ხარისხი (ანუ ის, თუ რამდენად დამოუკიდებელია ის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რამდენად მაღალია მისი აქტივობა და ინიციატივიანობა, თავდაჯერებულობა, დამოუკიდებლობა, მაღალი თვითშეფასება, თვითკონტროლი და პასუხისმგებლობა საკუთარი ქცევის მიმართ) საკმაოდ მაღალია და თუ ამ ხარისხის გაზრდაში მოზარდს ხელს შეუწყობთ, ჩვენ ვიღებთ დამოუკიდებელ, მაღალი თვითრეგულაციის მქონე ახალგაზრდას.

როგორ აღმოვაჩინოთ ჩვენს მოსწავლეებში/სტუდენტებში მსგავსი უნარები, როგორ დავადგინოთ, არიან თუ არა ისინი მზად ცვლილებებისთვის? როგორ შევუწყობთ ხელი მათ პიროვნულ მდგრადობას (საკუთარი პროფესიის დაუფლებასთან ერთად)?

მსგავსი საკითხები თავისთავადაც საყურადღებოა, მაგრამ საკითხის მიმართ ინტერესი გაიზარდა დისტანციური სწავლების კომპონენტის გააქტიურებით, რადგან გაიზარდა იმ ერთეულების რაოდენობაც, რომელიც ზემოქმედებს მოსწავლის/სტუდენტების სწავლა/სწავლების და საქმიანობის ეფექტურობაზე. მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა/სტუდენტთა საქმიანობის სუბიექტური რეგულირების პიროვნულ-ტიპოლოგიური მახასიათებლების შესწავლაც, რომელიც მოგვცემს ორიენტირს სამომავლო საქმიანობის დაგეგმვისთვისაც.

მოსწავლე/სტუდენტების თვითრეგულაციის ხარისხის გამოსაკვეთად და სწავლის სტილის დასადგენად ჩატარდა კვლევა სპეციალური ტესტებისა და კითხვარების გამოყენებით, რომელიც ორ ეტაპად წარიმართა.

*პირველ ეტაპზე* შევეცადეთ გაგვერკვია, რომელ ჯგუფს მიეკუთვნებოდა გამოკითხულთა კატეგორია - „ავტონომიურებს“ თუ „დამოკიდებულებს“; *მეორე ეტაპზე* - როგორი იყო მათი დამოკიდებულება დისტანციური სწავლების კომპონენტის მიმართ, ჰქონდათ თუ არა ამისათვის საჭირო კონკრეტული უნარ-ჩვევები და, ზოგადად, როგორი იყო მათი სწავლის სტილი.

კვლევის შედეგების მეთოდური დამუშავების გზით გამოიკვეთა მოსწავლეებსა და სტუდენტებში საქმიანობის სუბიექტური რეგულირების პიროვნულ-ტიპოლოგიური მახასიათებლები (მათ შორის დისტანციური საქმიანობის ფორმატის მიმართ დამოკიდებულება) და თვითრეგულაციისა და ინერნეტიულობის ხარისხი.

კვლევაში მონაწილეობდა სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეები და სტუდენტები, სულ 101 რესპონდენტი. კონკრეტულად, თბილისის იტალიური სკოლა „ცისკარის“, თელავის N4 საჯარო სკოლის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N1 საჯარო სკოლის, სამტრედიის N10 საჯარო სკოლის ზედა საფეხურის (XI-XII კლასის) მოსწავლეები და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები (რომლებიც დისტანციურ სასწავლო პროცესში ერთვებოდნენ როგორც დასავლეთ საქართველოდან, ასევე აღმოსავლეთ საქართველოდან). კვლევა მიმდინარეობდა მაისის ბოლო პერიოდში, როდესაც მოსწავლეთა ერთი ნაწილი (XII კლასელები) ჯერ კიდევ სკოლაში ირიცხებოდა, მაგრამ პოტენციურად ან მომავალ სტუდენტად მოიაზრებოდა (ანუ ისევ სასწავლო პროცესში იქნებოდა ჩართული), ან გავიდოდა სივრციდან და დამოუკიდებელ მუშაობას დაიწყებდა, ან დარჩებოდა სკოლაში (XI კლასელები) და უახლოეს მომავალში შეაღებდა უმაღლესი სასწავლებლის კარს; შინაარსობრივად იგივე ვითარებასთან გვექონდა საქმე სტუდენტებთან დაკავშირებითაც (ნაწილი აგრძელებდა სწავლას, ნაწილი ამთავრებდა სასწავლებელს და იწყებდა ცხოვრებისეულად ახალ ეტაპს - დამოუკიდებელ საქმიანობას).

რადგან დასახელებული ორი კომპონენტით (სასწავლო პროცესში ჩართულობა და დამოუკიდებელი საქმიანობა) მოსწავლეები და სტუდენტები ერთმანეთს ჰგავდნენ, დისტანციური სწავლების მიმართ დამოკიდებულება ვიკვლიეთ ცალ-ცალკე, ხოლო მოსწავლეთა და სტუდენტთა საქმიანობის სტილი (სწავლის სტილი) - ერთიან კომპონენტად, შედეგები კი კომპლექსურად წარმოვადგინეთ.

*კვლევის I ეტაპი:* მოსწავლეთა/სტუდენტთა თვითრეგულაციის მაჩვენებლის დადგენა და ამ მიზნით საქმიანობის სუბიექტური რეგულირების პიროვნულ-ტიპოლოგიური მახასიათებლების (ანუ ამ ეტაპზე სწავლის სტილის) შემსწავლელი ტესტირების ჩატარება (კითხვარი სწავლის სტილის და-

სადგენად (Прыгин (2006). აღსანიშნავია, რომ სულ კვლევაში მონაწილეობდა 101 რესპონდენტი, მაგრამ საკუთარი საქმიანობის სტილის დასადგენად კითხვარი შეავსო 71-მა მონაწილემ, დანარჩენმა თავი შეიკავა.

*ტესტირების ინსტრუქცია:* „თქვენ უნდა დაახასიათოთ საკუთარი თავი. ამისათვის უნდა გაცნოთ ელექტრონულ ტესტში წარმოდგენილ მტკიცებულებებს (18 მტკიცებულება). თუ თვლით, რომ მოცემული მტკიცებულებები დამახასიათებელია თქვენთვის, უპასუხეთ - „დიახ“ (+) , თუ არ გახასიათებთ - უპასუხეთ „არა“ (-).

*კითხვარი:*

№ n/n	მტკიცებულება	(+) / (-)
1	გარშემომყოფელები მე თავდაჯერებულად ამიანად მთვლიან	
2	სამუშაოს დაწყების წინ ყოველთვის ვაანალიზებ იმ პირობებს, რომელშიც მომიწევს მუშაობა	
3	ნებისმიერი სამუშაოს შესრულების წინ, როგორც წესი, ვაფასებ არამარტო საბოლოო შედეგს, არამედ იმ შედეგებსაც, რომელიც მიიღწევა მუშაობის პროცესში	
4	მე მზად ვარ უარი ვთქვა განზრახულზე, თუ სხვები ფიქრობენ, რომ რაღაც რიგზე ვერაა	
5	საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულების დროს არ მჭირდება სხვისი კონტროლი	
6	მე თანაბარი მცდელობით ვასრულებ როგორც საინტერესო, ასევე არასაინტერესო დავალებასაც	
7	სამუშაოს წარმატებით შესრულებისთვის აუცილებელია, რომ მაკონტროლებდნენ	
8	ჩემი სამუშაო განრიგი, როგორც წესი, უსისტემოა	

9	არჩევანის შემთხვევაში მე ვამჯობინებ შევასრულო უფრო საპასუხისმგებლო დავალება, ვიდრე ნაკლებად საინტერესო	
10	მას შემდეგ, როგორც კი დავასრულებ დავალებას, აუცილებლად ვამოწმებ, სწორად გავაკეთე თუ არა	
11	მე აუცილებლად ვუბრუნდები დაწყებულ საქმეს მაშინაც კი, როდესაც არავინ მაკონტროლებს	
12	წარმატების ეჭვის გამო ხშირად უარს ვამბობ დაწყებულ საქმეზე	
13	მე ხშირად არ მყოფნის მოთმინება, მივადწიო დასახულ მიზანს	
14	ჩემი გეგმები არასოდეს არ სცილდება ჩემს შესაძლებლობებს	
15	როგორც წესი, ნებისმიერ გადაწყვეტილებას ვინმესთან რჩევის შემდეგ ვიღებ	
16	მე ხშირად მიწევს ვაიძულო საკუთარი თავი კონცენტრირება მოვახდინო რომელიმე დავალებაზე, ანდა სამუშაოზე	
17	როდესაც ძალიან ვარ დაკავებული რაიმე სამუშაოთი, მიჭირს გადავერთო სხვა სამუშაოს შესრულებაზე	
18	მე უფრო მეტად უარს ვამბობ იმ სამუშაოზე, რომელიც ადვილად არ სრულდება	

ტესტის „გასაღები“: ტესტის მეთოდის თანახმად, ტესტი ისეა შედგენილი, რომ ცალკეული შეკითხვები შეიცავენ ერთგვარ „გასაღებებს“ ადამიანის საქმიანობის სტილის დასადგენად. ესენია:

დიახ: N - 1, 5, 11, 14 შეკითხვები.



არა: N - 2, 3, 4, 6, 7, 8, 9, 10, 12, 13, 15, 16, 17, 18 შეკითხვები.

თუ აპლიკანტის პასუხი დაემთხვევა მტკიცებულების „გასაღებს“ , მაშინ ის იღებს 1 ქულას, თუ არ დაემთხვა - 0 ქულას. მიღებული პასუხები ადგენს ადამიანის საქმიანობის სტილს (Прыгин, 2006).

**ინტერპრეტაცია**


მოსწავლეები, რომლებიც აგროვებენ 11 ქულას და უფრო მეტს, მიეკუთვნებიან იმ მოსწავლეებს, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი ცოდნის „თვითრეგულაცია“, ხოლო ისინი, ვინც იღებენ 7 ქულას და უფრო დაბალს - მიეკუთვნებიან „დამოკიდებულთა“ ჯგუფს, ანუ ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი საგანმანათლებლო საქმიანობის მართვას, ხოლო ისინი, რომლებიც დააგროვებენ 8, 9 და 10 ქულას - მათი ქცევის მიმართ გადაწყვეტილად რაიმე დასკვნის გაკეთება შეუძლებელია (Прыгин, 2006).

**კვლევის შედეგები:**

კითხვარი სწავლის სტილის დასადგენად		
1	გარშემომყოფები მე თავდაჯერებულად ამიანად მთვლიან	64 / 71
2	სამუშაოს დაწყების წინ ყოველთვის ვაანალიზებ იმ პირობებს, რომელშიც მომიწევს მუშაობა	65 / 71
3	ნებისმიერი დავალების შესრულების წინ, როგორც წესი, ვაფასებ არამარტო საბოლოო შედეგს, არამედ იმ შედეგებსაც, რომელიც მიიღწევა დავალების შესრულების პროცესში	62 / 71
4	მე მზად ვარ აური ვთქვა განზრახულზე, თუ სხვები ფიქრობენ, რომ რაღაც რიგზე ვერაა	31 / 71
5	საპასუხისმგებლო დავალების შესრულების დროს მჭირდება სხვისგან კონტროლი	14/71
6	მე თანაბარი მცდელობით ვასრულებ როგორც საინტერესო, ასევე არასაინტერესო დავალებასაც	31 / 71
7	დავალების წარმატებით შესრულებისთვის აუცილებელია, რომ მაკონტროლებდნენ	8 / 71
8	ჩემი სამუშაო განრიგი, როგორც წესი, უსისტემოა	31 / 71
9	არჩევანის შემთხვევაში მე ვამჯობინებ შევასრულო უფრო საპასუხისმგებლო	52 / 71

	დავალება, ვიდრე ნაკლებად საინტერესო	
10	მას შემდეგ, როგორც კი დავასრულებ დავალებას, აუცილებლად ვამოწმებ, სწორად გავაკეთე თუ არა	59 / 71
11	მე აუცილებლად ვუბრუნდები დაწყებულ საქმეს მაშინაც კი, როდესაც არავინ მაკონტროლებს	64 / 71
12	წარმატების ეჭვის გამო ხშირად უარს ვამბობ დაწყებულ საქმეზე	18 / 71
13	მე ხშირად არ მყოფნის მოთმინება, მივადწიო დასახულ მიზანს	27 / 71
14	ჩემი გეგმები არასოდეს არ სცილდება ჩემს შესაძლებლობებს	35 / 71
15	როგორც წესი, ნებისმიერ გადაწყვეტილებას ვინმესთან რჩევის შემდეგ ვიღებ	25 / 71
16	მე ხშირად მიწევს ვაიძულო საკუთარი თავი კონცენტრირება მოვახდინო რომელიმე დავალებაზე, ანდა სამუშაოზე	45 / 71
17	როდესაც ძალიან ვარ დაკავებული რაიმე სამუშაოთი, მიჭირს გადავერთო სხვა სამუშაოს შესრულებაზე	42 / 71
18	მე უფრო მეტად უარს ვამბობ იმ სამუშაოზე, რომელიც ადვილად არ სრულდება	15 / 71

მიღებული პასუხები დიაგრამაზე:



როგორც ვხედავთ, გამოკვეთილად მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაუფიქსირდა იმ რესპონდენტებს, რომელთა ვექტორი გამოკვეთილი არაა და არ ვიცით საით გადაიხრება - „დამოკიდებულებისკენ“, თუ - ავტონომიურობისკენ და თვითრეგულაციისკენ.

*რეკომენდაციები:* ცნობილია, რომ თუ ჩვენს ფიქრებსა და ქმედებებს თვითონ ვაკონტროლებთ, და არა სხვა ადამიანები და გარემოებები, ესე იგი, გაგვაჩნია თვითრეგულაციის უნარი. თვითრეგულაციის, როგორც სოციალური დასწავლის ასპექტებია: ა) სტანდარტები და მიზნები, რომლებსაც საკუთარ თავს ვუსახავთ; ბ) მეთოდები, რომლებსაც საკუთარი გონებრივი პროცესების და ქცევების მონიტორინგისა და შეფასებისთვის ვიყენებთ; გ) შედეგები, რომლებსაც საკუთარ თავს ვუწესებთ მიღწეული წარმატებისა თუ წარუმატებლობისთვის (მელიქიშვილი, 2012).

თვითრეგულაციის გამოსამუშავებელი სტრატეგიების მაგალითები:

- ✓ მივცეთ მოსწავლეებს/სტუდენტებს დავალებები, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლას მოითხოვს;
- ✓ ვასწავლოთ დავალების დაგეგმვის კონკრეტული სტრატეგიები (მაგალითად, დავურიგოთ კალენდრები, სადაც ისინი ჩაწერენ დავალებებს და მათი ჩაბარების თარიღებს);
- ✓ მივცეთ ეფექტური სწავლის კონკრეტული მითითებები (მაგალითად, წასაკითხ დავალებასთან ერთად მივცეთ კონკრეტული კითხვები, რომლებსაც კითხვის დროს უნდა უპასუხოთ);
- ✓ ხშირად მივცეთ შესაძლებლობა, შეაფასონ თავიანთი სწავლის პროგრესი და შემდეგ ეს შეფასება თქვენს შეფასებას შეადარონ;
- ✓ დავალებები გრძელვადიან მიზნებს დაუკავშიროთ;


№	შეკითხვა	სულ 101 მოსწავლე (+)
1	იყო თუ არა წარმატებული თქვენთვის სწავლის დისტანციური ფორმა, იმუშავეთ თუ არა ნაყოფიერად?	78
2	უნდა გაგრძელდეს თუ არა დისტანციური ფორმით სწავლება შემდეგშიც?	22
3	დისტანციური სწავლა არ უნდა არსებობდეს	39
4	ცოცხალი ურთიერთობები გაცილებით უკეთესია	98

5	დისტანციური სწავლების დადებითი მხარე არის მხოლოდ ის, რომ სწავლასთან ერთად შეგიძლია სხვა რამეც აკეთო, მაგალითად, იმუშაო, რადგან ამისთვის დრო გრჩება	67
6	დისტანციურად სწავლა ძნელია	43
7	დისტანციური სწავლების ფორმატი ინდივიდუალური სწავლების ტემპის რეგულირების საშუალებას იძლევა	63
8	დისტანციური სწავლების ფორმატი კარგია, რადგან ამ დროს კონტროლის სისტემა დაბალია	10
9	დისტანციური სწავლების ფორმატი ცუდია, რადგან საკუთარ მიღწევებს ვერ აკონტროლებ	51
10	დისტანციური სწავლება ცოდნის შეძენისთვის მოსახერხებელია	68

- ✓ ავუხსნათ და მივცეთ კითხვის, სწავლის და მეცადინეობის ეფექტური კოგნიტური სტრატეგიების მაგალითები
- ✓ და ა. შ. (დოლიძე, 2017).

*რაც შეეხება კვლევის მეორე ნაწილს: როგორც ვიცით, ასინქრონული სწავლება პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლებაა - დაინტერესებული პირები ერთმანეთს შორის ცვლიან ინფორმაციას სხვადასხვა ვებ-ტექნოლოგიების საშუალებით და გააჩნიათ ერთნაირი სტატუსი, სწავლის გრაფიკი არ არის გაწერილი დროში და ამ პროცესში ჩართვა შეიძლება ნებისმიერი ადგილიდან. ასინქრონული სწავლების ორგანიზატორები არიან კონკრეტული სფეროს სპეციალისტები ან სტუდენტები და სწავლება ძირითადად აუდიტორიის გარეთ მიმდინარეობს. ამ ტიპის სწავლება შეიძლება იყოს როგორც ძირითადი სასწავლო პროცესის, ასევე კვალიფიკაციის ამაღლებისათვის დამხმარე საშუალება. ამ დროს ფართოდ გამოიყენება ბლოგები, ფორუმები, სოციალური ქსელები ან სხვა ტიპის ელექტრონული საშუალებები. შესაბამისად, მიმდინარე ეტაპზე დისტანციური სწავლების კომპონენტის გააქტიურების კვალობაზე, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რამდენად ეფექტურად მიაჩნიათ ის ჩვენს მოსწავლეებს/სტუდენტებს.*

მოცემული შედეგები ასე გამოიყურება დიაგრამაზე:



როგორც ვხედავთ, გამოკითხულთა უმეტესობა ცოცხალ ურთიერთობებს ამჯობინებს დისტანციურს, თუმცა თვლის, რომ ასინქრონული სწავლება (დისტანციური ფორმატი) მაინც წარმატებული იყო მისთვის.

მეთოდის თვალსაზრისით, საინტერესოა შემდეგ შეკითხვებზე პასუხები:

ა) მოსწავლეების შემთხვევაში:


შეკითხვა	სწორი პასუხები
2. უნდა გაგრძელდეს თუ არა დისტანციური ფორმით სწავლება შემდეგშიც?	7 / 60-დან
3. დისტანციური სწავლა არ უნდა არსებობდეს	23 / 60-დან
6. დისტანციურად სწავლა ძნელია	28 / 60-დან

კიდევ უფრო კონკრეტულად:

1. იყო თუ არა წარმატებული თქვენთვის სწავლის დისტანციური ფორმა, იმუშავეთ თუ არა ნაყოფიერად?




50 / 60 სწორი პასუხიდან



## 2. უნდა გაგრძელდეს თუ არა დისტანციური ფორმით სწავლება შემდეგშიც?




7 / 60 სწორი პასუხიდან




## 3. დისტანციური სწავლა არ უნდა არსებობდეს

23 / 60 სწორი პასუხიდან




## 4. ცოცხალი ურთიერთობები გცილებით უკეთესია

58 / 60 სწორი პასუხიდან




5. დისტანციური სწავლების დადებითი მხარე არის მხოლოდ ის, რომ სწავლასთან ერთად შეგიძლია სხვა რამეც აკეთო, მაგალითად, იმუშაო, რადგან ამისთვის დრო გრჩება  
40 / 60 სწორი პასუხიდან




6. დისტანციურად სწავლა ძნელია

28 / 60 სწორი პასუხიდან



7. დისტანციური სწავლების ფორმატი ინდივიდუალური სწავლების ტემპის რეგულირების საშუალებას იძლევა


36 / 60 სწორი პასუხიდან



8. დისტანციური სწავლების ფორმატი კარგია, რადგან ამ დროს კონტროლის სისტემა დაბალაია




0 / 60 სწორი პასუხიდან



9. დისტანციური სწავლების ფორმატი ცუდია, რადგან საკუთარ მიღწევებს ვერ აკონტროლებ




34 / 60 სწორი პასუხიდან



10. დისტანციური სწავლება ცოდნის შექმნისთვის მოსახერხებელია



38 / 60 სწორი პასუხიდან



მიუხედავად დისტანციური სწავლების მიმართ დადებითი დამოკიდებულებისა, მოსწავლეების ზოგადი საქმიანობის სტილი და თვითრეგულაციის ხარისხი არ არის „მდგრადი“, „მყარი“, რადგან „კონტროლის“



სავარაუდო მოთხოვნილება (თვითრეგულირებაზე აქცენტი) არცთუ დაბალია - 60 მოსწავლიდან მისი მოთხოვნილება აქვს 34 (N9 შეკითხვა, ან კიდევ უფრო დაბალი - N8 - 0%). შესაბამისად, ყველაზე მეტი მაჩვენებელი დაფიქსირდა „ცოცხალი“ ურთიერთობების მიმართ (40%), რომელიც უფრო აქტიური სოციალური ინტერაქციის შემცველია მოსწავლეთა შედეგების მიხედვით.

ბ) სტუდენტების შემთხვევაში, მეთოდის თვალსაზრისით, საინტერესოა შემდეგი პასუხები/შედეგები:


შეკითხვა	სწორი პასუხები
2. უნდა გავრძლედე თუ არა დისტანციური ფორმით სწავლება შემდეგში?	15 / 41-დან
3. დისტანციური სწავლა არ უნდა არსებობდე	16 / 41-დან
6. დისტანციურად სწავლა ძნელია	15 / 37-დან
8. დისტანციური სწავლების ფორმატი კარგია, რადგან ამ დროს კონტროლის სისტემა დაბალია	10 / 41-დან
9. დისტანციური სწავლების ფორმატი ცუდია, რადგან საკუთარ მიღწევებს ვერ აკონტროლებ	17 / 41-დან

### და ეს მაშინ, როდესაც, პასუხი კითხვაზე:

1. იყო თუ არა წარმატებული თქვენთვის სწავლის დისტანციური ფორმა, იმუშავეთ თუ არა ნაყოფიერად?



28 / 41 სწორი პასუხიდან




როგორც ვხედავთ, ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად დისტანციურ ფორმატთან საკუთარი სწავლის სტილისა და საქმიანობის შეხამება, ანუ თვითრეგულაციის შესაძლო ხარისხი არც აქ გამოირჩევა „სიმყარით“ და „მდგრადობით“ (პასუხები კითხვებზე N- 2, 3, 6, 8, 9). კონკრეტულად:

1. იყო თუ არა წარმატებული თქვენთვის სწავლის დისტანციური ფორმა, იმუშავეთ თუ არა ნაყოფიერად?




28 / 41 სწორი პასუხიდან



2. უნდა გავრძლედე თუ არა დისტანციური ფორმით სწავლება შემდეგშიც?




15 / 41 სწორი პასუხიდან



3. დისტანციური სწავლა არ უნდა არსებობდეს




16 / 41 სწორი პასუხიდან



4. ცოცხალი ურთიერთობები გცილებით უკეთესია




40 / 41 სწორი პასუხიდან



5. დისტანციური სწავლების დადებითი მხარე არის მხოლოდ ის, რომ სწავლასთან ერთად შეგიძლია სხვა რამეც აკეთო, მაგალითად, იმუშაო, რადგან ამისთვის დრო გრჩება




27 / 41 სწორი პასუხიდან



6. დისტანციურად სწავლა ძნელია




15 / 37 სწორი პასუხიდან



7. დისტანციური სწავლების ფორმატი ინდივიდუალური სწავლების ტემპის რეგულირების საშუალებას იძლევა




27 / 41 სწორი პასუხიდან



8. დისტანციური სწავლების ფორმატი კარგია, რადგან ამ დროს კონტროლის სისტემა დაბალია




10 / 41 სწორი პასუხიდან



9. დისტანციური სწავლების ფორმატი ცუდია, რადგან საკუთარ მიღწევებს ვერ აკონტროლებ




17 / 41 სწორი პასუხიდან



10. დისტანციური სწავლება ცოდნის შექმნისთვის მოსახერხებელია



30 / 41 სწორი პასუხიდან



პასუხების დინამიკა ორივე შემთხვევაში (მოსწავლე/სტუდენტი) მიუთითებს, რომ ასინქრონული სწავლების მიმართ დადებითი დამოკიდებულებაა, მაგრამ ვლინდება „ცოცხალი“ სწავლების ერთგვარი უპირატესობაც.

*კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ*

1. გამოკითხულთა მოზრდილ ნაწილს არ აქვს მკვეთრად გამოკვეთილი სწავლის სტილი, არ იცის საით „გადაიხაროს“ და შესაძლოა, თვითრეგულირებადი სტილი ბოლომდე ვერც ჩამოიყალიბოს;

2. საქმიანობისა და სწავლების სტილის ეფექტიანობის თვალსაზრისით ასინქრონული სწავლების მომხრე სტუდენტებს არცთუ მაღალი დადებითი კოეფიციენტი აქვთ და მათთვის ყველაზე მოხერხებული შეიძლება

აღმოჩნდეს ასინქრონული და სინქრონული სწავლების ე. წ. „შერეული“ მო-  
დელი, რაც გასათვალისწინებელია შემდგომი მუშაობის დაგეგმისთვის.

*რეკომენდაციები დისტანციური (ასინქრონული) სწავლების ეფექტუ-  
რობასთან დაკავშირებით:*

ასინქრონული საშუალებები დაფუძნებულია ისეთ ტექნოლოგიებზე, როგორცაა: WWW, FTP, e-mail, Listserv, Forum. ისინი უზრუნველყოფენ დრო-ში ეფექტურ კომუნიკაციას და ფართოდ გამოიყენებიან საგანმანათლებლო მიზნებისათვის, ძირითადად ისეთ შემთხვევაში, როდესაც ინტერნეტის ფა-რთო წვდომა შეუზღუდულია, ან არ არის საჭირო (მასთან შედარებით, კომუ-ნიკაციის სინქრონული საშუალებები ეფუძნება ისეთ ტექნოლოგიებს, როგო-რიცაა IRC (Interactive Relay Chat), ICQ (I seek you), MOO Multi-User Object Oriented), MUD (Multi-User Domain), Telnet (Teletype Network), FTP (File Transfer Protocol), On-line Database და ა. შ. ისინი წარმატებით უზრუნველყო-ფენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას რეალურ დროში, მაგრამ მხოლოდ ინტერნეტის ფართო სიხშირის პირობებში (ფირჩხაძე, 2020).<sup>6</sup>

კომუნიკაციის ასინქრონული საშუალებების როლი თანამედროვე განა-თლების გამოწვევებმა ძალიან გაზარდა. მათი შემწეობით წარმატებით ვიყე-ნებთ ელექტრონულ სასწავლო რესურსებს, მონაწილეობას ვიღებთ ონლაინ-დისკუსიებში, ონლაინ კონფერენციებში, სემინარებში, რეალურ დროში ვი-ღებთ უკუკავშირს, განვიხილავთ პრობლემურ საკითხებს და ა. შ.

*ამგვარად ორგანიზებული სასწავლო პროცესი ავითარებს:*

- ✓ საგნობრივ და საგანთაშორის კომუნიკაციას როგორც გაკვეთილის და მოსწავლე-მასწავლებლის დონეზე, ასევე ცალკეულ მოსწავლე-ბსა და მასწავლებლებს შორის;
- ✓ სასწავლო დაწესებულების პერსონალს შორის;
- ✓ კომუნიკაცია გაცილებით შორსაც მიდის და შეუძლია მოიცვას გლო-ბალური საზოგადოება, სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლეები და სასწავ-ლო პროცესის სხვა მონაწილეები;
- ✓ ინტერნეტით და ზოგადად ასინქრონული (ელექტრონული ფოსტის ან ნებისმიერი დისტანციური სწავლების ელემენტის გამოყენება) საშუალებებით შესაძლებელია მასწავლებელთან კონტაქტი, კონსუ-ლტაციის გავლა, კითხვაზე პასუხის მიღება და დროული უკუკავშირი ნებისმიერ თემაზე;
- ✓ საინტერესოა ამ გზით მიღებული შეფასებაც, რადგან დისტანციური სწავლება გამორიცხავს ნებისმიერი სახის პიროვნული სიმპათია-ან-ტიპათიის ელემენტებს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. მაგ-რამ ის, რაც სასიკეთოა, შესაძლოა, საპირისპირო მნიშვნელობაც შეი-ძინოს, რადგან „ვირტუალური“ მასწავლებელისგან შეფასების მიღე-

ბისას პიროვნული თანაგანცდის მომენტი გამორიცხულია. მასწავლებელმა არ იცის, რეალურად ვინ არის მოსწავლე, საკონტროლო დავალებებიც კი ხშირად ანონიმური ფორმისაა, რეგისტრაციის ნომრის მიხედვით, თუმცა ეს ყველაფერი რეალურად უზრუნველყოფს ობიექტურ შეფასებას.

აღსანიშნავია, რომ ასინქრონული სწავლება გაცილებით იაფია ტრადიციული სწავლების ფორმასთან შედარებით და გაცილებით ხელმისაწვდომიც, რადგან:

- ✓ „დისტანციურ“ მოსწავლეებს არ სჭირდებათ საკლასო ოთახები, მერხები, კოგნიტური სქემები და ცხრილები კედლებზე, დასუფთავების სამსახური და მოწესრიგებული კვების ბლოკი;
- ✓ „დისტანციური“ მოსწავლეები ძირითადად სწავლობენ დამოუკიდებლად და სასწავლო დაწესებულებას იაფი უჯდება მასწავლებელთა ანაზღაურება და ა. შ.

კვლევის შედეგების თანახმად ასინქრონული საშუალებები ოპტიმალური გზაა ცოდნის შეძენით დაინტერესებული პირისთვის ერთმანეთს შეუხამოს რამდენიმე მიმართულებით სწავლა და მინიმალური ანაზღაურებადი სამუშაო (ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით), შემდეგ კი მიიღოს შესაფერისი კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი (N5 შეკითხვის მიხედვით დადებითი მაჩვენებელი ორივე შემთხვევაში მადალია - სტუდენტებში 27 დადებითი პასუხი 41 რესპონდენტიდან და მოსწავლეებში 40 დადებითი პასუხი 60 გამოკითხულიდან).

ფაქტია, რომ არსებულ რეალობაში დამდგარი გამოწვევების გასამკლავებლად ყველაზე ეფექტურია კომუნიკაციის სწორი ფორმების გამოყენება და მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით მომავალში გაცილებით ეფექტიანი სასწავლო სივრცის შექმნა, რითაც რეალურად დაიძლევა თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესის მზარდი მოთხოვნები.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

Прыгин (2006). Прыгин. Личностно-типологические особенности субъектнoй регуляции деятельности. тема диссертации и автореферата по ВАК РФ 19.00.01, доктор психологических наук. <https://www.dissercat.com/content/lichnostno-tipologicheskie-osobennosti-subektnoi-regulyatsii-deyatelnosti>

Prigin, G. (2006). Prigin Gennadiy. Samuilovich. Is personal-typological features of subject regulation of activity. Moscow;

Bandura, A. (1991). Albert Bandura. Social Cognitive Theory of Self-Regulation (PDF). *Organizational Behavior and Human Decision Processes*. 50. (248-

287) (1991) ხელმისაწვდომია ლინკზე: <http://www.uky.edu/~eushe2/-Bandura/Bandura1991OBHDP.pdf> (ბოლო ნახვა 2022.25.12.)

მელიქიშვილი (2012). მანანა მელიქიშვილი. სწავლის სოციალურ - კოგნიტური თეორია. რედაქტორი: ნათია ნაცვლიშვილი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;

დოლიძე (2017). თამთა დოლიძე. თვითრეგულაციის სათავეებთან. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“. 17.08. 2017. ლინკი მოცემულ დროზე: ხელმისაწვდომია ლინკზე: <http://mastsavlebeli.ge/?p=15232> (ბოლო ნახვა 2022.25.12.)

ფირჩხაძე (2020). მაია ფირჩხაძე. სწავლის სინქრონული და ასინქრონული საშუალებები. ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“. ლინკი მოცემულ დროზე: 7.05.2020. ხელმისაწვდომია ლინკზე: <http://mastsavlebeli.ge/?p=25733> (ბოლო ნახვა 2022.25.12.)